საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** **მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №34** **ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87** **ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**თურქოლოგია/ Turkology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**თურქოლოგიის მაგისტრი (0231.1.16)** **Master of Turkology**
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	**120 (ECTS) კრედიტი:** • **65 ECTS** კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები (მოიცავს I; II; III; სემესტრს). • **15 ECTS** კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები (მოიცავს I; II; III; სემესტრს). • **20 ECTS** კრედიტი არჩევითი კურსები (III; სემესტრი) • **30 ECTS** - სამაგისტრო ნაშრომი - (IV სემესტრი).
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: თურქული ენა - B2 დონე და სპეციალობა; ➢ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** **სტუდენტს:** 1. მაგისტრანტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა თურქოლოგიის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითად მიმართულებებსა და დარგებში, რომელიც დაკავშირებულია შესაბამის ენობრივ, ენათმეცნიერულ, ლიტერატუ-რათმცოდნეობით, ისტორიულ-კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კომპეტენციებთან; აიმაღლოს ენობრივი კომპეტენციები არანაკლებ C.1. დონისა; 2. გამოუმუშაოს უნარი, რომ განსაზღვროს თურქოლოგიის დარგში, ენობრივ, ენათმეცნიერულ, ლიტერა-ტურათმცოდნეობით, ისტორიულ-კულტურულ, საზოგად-ოებრივ - პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული საკვანძო და აქტუალური თემები; უახლესი პრობლემატიკა, კვლევის მეთოდები და თანამედროვე მიდგომები; 3. მაგისტრანტს შესძინოს სათანადო უნარ-ჩვევები, რათა სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში გაანალიზოს და კრიტიკულად გაიაზროს თურქოლოგიის სხვადასხვა

	მიმართულების: ზეპირი, წერილობითი, ლიტერატურული და საისტორიო მასალა. შეძლოს მისი სინთეზი, ინტერპრეტაცია და კონტექსტუალიზაცია სხვადასხვა პერსპექტივით. გამოავლინოს პრობლემის გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და ინტერაქციის უნარი, რომელსაც ეფექტურად გამოიყენებს საკვალიფიკაციო ნაშრომში; 4. განუვითაროს უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების, კონკურენციის გაწევის, ინოვაციებისთვის ღიაობის, ეთიკური ნორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების პატივისცემის უნარები, რითაც წვლილს შეიტანს აღნიშნული სფეროს - ენობრივი, ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ისტორიულ-კულტურული, საზოგადოებრივ - პოლიტიკური საკითხების ცოდნის განვითარებაში; 5. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმისა და მისიის შესაბამისად განხორციელებული თურქოლოგიის პროგრამის ფარგლებში მოამზადოს მაღალკვალიფიციური, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა აღნიშნულ დარგში. ყოველივე ეს დაეხმარება სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ან/და დასაქმდეს შრომის ბაზარზე საჯარო და კერძო სექტორში.
სწავლის შედეგები	**ა) ცოდნა და გაცნობიერება** **I.** კურსდამთავრებული ავლენს ღრმა და სისტემური ცოდნას თურქოლოგიის დარგში, რომელიც მოიცავს ენობრივ, ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით, ისტორიულ-კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კომპეტენციებს; **II.** განსაზღვრავს და აღწერს ენობრივ, ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით, ისტორიულ-კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას; **III.** მიმოიხილავს თურქოლოგიის ძირითად მიმდინარეობებს, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს; შესწავლილი აქვს სხვადასხვა ლინგვისტური სკოლებისა და მიმდინარეობების ისტორია და თეორიები; **ბ) უნარები** **IV.** იყენებს თურქულ ენას (არანაკლებ C1 დონეზე), როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს. გამოხატავს საკუთარ აზრს შესაბამისი ენობრივ-სტრუქტურული ერთეულების შერჩევით, ენობრივი ნორმების დაცვით და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ახორციელებს ათვისებული ცოდნის ინტეგრირებას სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის;

	V. კრიტიკულად გაიაზრებს სამიზნე ენასთან, მათ ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს; იყენებს დარგისთვის სპეციფიკურ მეთოდებს; VI. აანალიზებს ინფორმაციას თურქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებში. ახდენს ზეპირი, წერილობითი, ლიტერატურული და საისტორიო მასალის სინთეზს, ინტერპრეტაციას და კონტექსტუალიზაციას პერსპექტივიდან გამომდინარე; VII. ავლენს თურქოლოგიის მიმართულებით პრობლემის გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და ინტერაქციის უნარებს შესაბამის გარემოს, კულტურათაშორისი განსხვავებების და კულტურათა თავისებურებების გათვალისწინებით. VIII. ავითარებს თურქოლოგიის დარგში ინოვაციურ და ორიგინალურ მიდგომებს, რომელსაც აყალიბებს საკვალიფიკაციო ნაშრომში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; **გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** IX. ამჟღავნებს დარგში დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითაც წვლილი შეაქვს თურქოლოგიის სფეროს - ენობრივი, ენათმეცნიერული, ლიტერატურ-ათმცოდნეობითი, ისტორიულ-კულტურული, საზოგა-დოებრივ-პოლიტიკური მიმართულებების ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში; X. ავლენს ნაცნობ და უცნობ სასწავლო და სამუშაო გარემოში მსჯელობისა და წერის, სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს; ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს; აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებებისა და კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას; ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონცეფციების მიმართ.
შეფასები წესი	ცალკეულ სასწავლო კუსრში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A,B, C, D, E, FX, F. A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D– დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.

საკონტაქტო პირ(ებ)ი	ბსუ-ს პროფესორი ზაზა შაშიკაძე; ბსუ-ს პროფესორი ემზარ მაკარაძე; ბსუ-ს პროფესორი ლილე თანდილავა.